

მმართველობის ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის პროცედურული საკითხები

ბიზი ბაქრაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
financial.manager@esu.edu.ge

ნაწილი ძიშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ndzimtseishvili@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: მმართველობის ანგარიშგება, გულაღრული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

თემის აქტუალობა. საქართველოს ეკონომიკის განვითარება საჭიროებს საინვესტიციო და ბიზნესგარემოს განვითარების უწყვეტ ხელშეწყობას, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ნორმატიული და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას.

თავისმხრივ, ევროინტეგრაციის პროცესი მოითხოვს ახალი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მიღებას, რომლებიც მოახდენენ საწარმოთა საქმიანობის სამართლებრივი საკითხების, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირებას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს რეგულირებისა და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოების მიზნით 2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”. აღნიშნული კანონი ადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურებს. აგრეთვე განსაზღვრავს პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს.

ევროდირექტივების შესაბამისად შემოღებულ იქნა საწარმოების დაყოფა კატეგორიებად. რითაც განისაზღვრა მოთხოვნები თუ რომელი საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით იქნას წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება.

საქართველოში მოქმედი კანონის მიხედვით, არსებობს სდპ და 4 კატეგორიის საწარმო: პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე. კატეგორიის მინიჭება ხორციელდება სამი კრიტერიუმის მიხედვით, ესენია: პერიოდის ბოლოს საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივების ღირებულება, წლიური შემოსავალი და საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა.

კანონმა განსაზღვრა საწარმოთა ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით, კერძოდ, სდპ და პირველი კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ და ფინანსური ანგარიშგება შეადგინონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების – IFRS-ის მიხედვით. მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ფინანსურ ანგარიშგებას განახორციელებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) მიხედვით. თუმცა მათ აქვთ უფლება გამოიყენონ ფინანსურის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

მმართველობის ანგარიშგების წარდგენის ვალდებულება აქვთ სდპ, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებს. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს: საქმიანობის მიმოხილვას, კორპორაციული მართვის ანგარიშგებას და არაფინანსურ ანგარიშგებას, აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგებას. მმართველობის ანგარიშგების წარდგენა უნდა მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრამდე. ზედამხედველობის სამსახური თავის მხრივ, წარმოდგენილ ანგარიშგებას გამოაქვეყნებს ვებ გვერდზე 1 თვის ვადაში (არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვარი).

კანონმა შემოიღო სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების სა-ვალდებულო აუდიტი. კანონის მიხედვით, მმართველობის ანგარიშგებასაც უნდა ახლდეს აუდიტორის მოსაზრება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და მათე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრის შესახებ.

რამდენადაც საქართველოს ბიზნეს სექტორისათვის მმართველობის ანგარიშგება სიახლეს წარმოადგენს, ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშავა „სახელმძღვანელო მმართველობის ანგარიშგების შესახებ“, რომელიც სა-რეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს კომპანიების მიერ მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესის გამარტივებას და სათანადო ფორმატით წარდგენას.

განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილებაზე

დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მმართველობის ანგარიშგების მომზადება და გასაჯაროება კომპანიების მდგრადობასა და ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე დადებითად იმოქმედებს, გაზრდის პარტნიორების, ინვესტორებისა და მომხმარებლების ნდობას მათ მიმართ. მმართველობის ანგარიშგების მიზანია, დაინტერესებულ პირებს კომპანიის საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება მისცეს. აღნიშნული ანგარიშგების დახმარებით, მათ შეუძლიათ როგორც კომპანიის სამომავლო პერსპექტივების და ძირითადი რისკების შეფასება, ასევე, ისიც, თუ რამდენად წარმატებულად შეასრულა საწარმომ დასახული მიზნები. მმართველობის ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად ერთიან კონტექსტს ქმნის და დაინტერესებულ პირებს მრავალმხრივ ინფორმაციას აწვდის სუბიექტის შესახებ. ასეთი ინფორმაცია შეიცავს ხელმძღვანელი პირების ხედვას, არა მხოლოდ იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა (დადებითი და უარყოფითი გარემოებებით), არამედ იმასაც, თუ რატომ მოხდა და რა შესაძლო გავლენა ექნება მომხდარს კომპანიის სამომავლო საქმიანობისათვის.

მმართველობის ანგარიშგებას აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული მოთხოვნები. როგორც, სარეკომენდაციო სახელმძღვანელოშია აღნიშნული: მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის განთავსება ინფორმაციის ეფექტურ მიწოდებას უნდა უწყობდეს ხელს; მმართველობის ანგარიშგება მიუკერძოებელი, დაბალანსებული და გასაგები უნდა იყოს; მმართველობის ანგარიშგება უნდა იყოს ყოველმხრივი, მაგრამ ლაკონური; მმართველობის ანგარიშგება უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული; მმართველობის ანგარიშგებაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ანგარიშგების კომპონენტებს შორის არსებულ კავშირებზე და მოხდეს მათი განმარტება.

მმართველობის ანგარიშგების სავალდებულო სტრუქტურა არაა დადგენილი. თუმცა კანონი განსაზღვრავს მმართველობის ანგარიშგების კომპონენტებს, დაადგენს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომლის ასახვაც სავალდებულოა თითოეულ კომპონენტში. რეკომენდებულია, რომ მმართველობის ანგარიშგებამ მხოლოდ ისეთი ინფორმაცია მოიცვას, რომელიც არსებითი იქნება ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. არსებითი შეიძლება იყოს, როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ინფორმაცია.

მმართველობის ანგარიშგების ფორმატზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი სტრუქტურისა და კომპონენტების მიხედვით, რომელიც შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

1. საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს:

ა) კომპანიის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგრადობას, კერძოდ უნდა გამჟღავნდეს:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
 - ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;
 - კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;
 - აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
 - ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;
 - წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.
- ბ) ძირითად რისკებსა და გაურკვევლობებს.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება, რომელიც მოიცავს:

- ა) კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვას;
- ბ) გადახვევებს კორპორაციული მართვის კოდექსიდან;
- გ) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვას;
- დ) აქციონერების და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვას;
- ე) მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვას;
- ვ) მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვას;
- ზ) სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვას.

3. არაფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს:

- ა) არაფინანსურ საკითხებს;
- ბ) კომპანიის ბიზნესმოდელის მიმოხილვას;
- გ) კომპანიის საქმიანობის რისკების ანალიზს;
- დ) საქმიანობის ძირითად არაფინანსურ მაჩვენებლებს;
- ე) გამოყენებული პოლიტიკის აღწერას.

კანონში ხაზგასმულია, რომ წლიური ანგარიშის მომზადებასა და წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის მმართველობის ორგანოს და სამეთვალყურო საბჭოს წევრებს.

ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის და ევროდირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოშიც ინერგება მმართველობის ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის პროცედურული საკითხები. თუმცა მომავალი გვიჩვენებს, ზემოთაღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება რამდენად შეუწყობს ხელს ბიზნესის კომერციული საიდუმლოების დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, 2016
2. საქართველოს კანონი მეწარმეობის შესახებ.
3. „სახელმძღვანელო მმართველობის ანგარიშგების შესახებ“ 2018
4. <https://saras.gov.ge/>

PROCEDURAL ISSUES FOR DRAWING AND SUBMITTING MANAGEMENT REPORTS

GIVI BAKRADZE

Doctor of Business Administration,
Professor, European University
financial.manager@esu.edu.ge

NANULI DZIMTSEISHVILI

Academic Doctor of Economics,
Associated Professor, Sokhumi State University
ndzimtseishvili@yahoo.com

KEY WORDS: MANAGEMENT REPORTS, ACCOUNTING, IFRS

SUMMARY

In accordance with the international practice, procedures for preparing and submitting reporting on governance reporting and payments made to the state are introduced.

The mandatory structure of governance reporting is not established. However, the law defines the component reporting component and defines the list of information that is obligatory in each component. It is recommended that the

management report only contains the information that will be essential for the reporting users.

Based on the experience of developed states, we can think that the preparation and the publicity of the management report will positively affect the company's sustainability and improvement of financial and non-financial indicators. It should also be taken into consideration that the disclosure of the governance information does not hinder the commercial secrets of business.